



2023  
წელი

შპს გურამ  
თავართქილაძის  
სახელობის  
თბილისის სასწავლო  
უნივერსიტეტი

სასწავლო ლაბორატორიებისა და კლინიკების  
საქმიანობის შეფასების წესი

## **მუხლი 1 რეგულირების სფერო**

1. წინამდებარე წესის მიზანია შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი) დაადგინოს უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიებისა და კლინიკების საქმიანობის შეფასების სისტემა;
2. წინამდებარე წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემა თანაბრად სავალდებულოა სასწავლო უნივერსიტეტში არსებულ ყველა ლაბორატორიასა ან/და კლინიკისათვის.

## **მუხლი 2 ლაბორატორიების და კლინიკების ზოგადი განმარტება**

1. სასწავლო უნივერსიტეტი სტრატეგიულ ამოცანას განეკუთვნება მოამზადოს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრები. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისთვის საკვანძო მნიშვნელობის საკითხია პრაქტიკული უნარ ჩვევების გამომუშავება;
2. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები, კონკრეტული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით ითვალისწინებენ პრაქტიკულ კომპონენტებს და სწორედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამადლებისთვის სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს: იურიდიული კლინიკა, ტელე-რადიო ლაბორატორია, კრიმინალისტიკის ლაბორატორია.
3. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული კლინიკები ან/და ლაბორატორიები უნდა ემსახურობდნენ შესაბამის ფკაულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მომზადებას - სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამადლებას.
4. კლინიკებისა და ლაბორატორიების ფუნქცია არ შემოიფარგლება მხოლოდ პრაქტიკული უნარ ჩვევების ამადლებით, მათი მიზანი, უნივერსიტეტის მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე, საზოგადოებაში ცოდნის, განათლების გავრცელება, სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებაში ხელის შეწყობა.

### **მუხლი 3 მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კონტროლი**

1. შესაბამისი ლაბორატორიის/კლინიკის ხელმძღვანელი ვალდებულია უშუალო ზედამხედველობა განახორციელოს ლაბორატორიაში/კლინიკაში, მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსებზე;
2. ლაბორატორიის/კლინიკის ხელმძღვანელი ყოველი სემესტრის ბოლოს ახდენს ლაბორატორიაში/კლინიკაში არსებული მატერიალური რესურსების აღწერას, საჭიროების შემთხვევაში ავლენს შესაბამის ხარვეზებს და ატყობინებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად ახორციელებს შესაბამის რეაგირებას;
3. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, ლაბორატორიის/კლინიკის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ლაბორატორიაში/კლინიკაში არსებული მატერიალური რესურსების აღწერას და აღწერის შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის ფინანსურ სამსახურს.

### **მუხლი 4 ლაბორატორიის/კლინიკის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები**

1. ლაბორატორიის/კლინიკის საქმიანობის შეფასებისთვის, ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო განუსაზღვრავს ლაბორატორიას/კლინიკას წლის მანძილზე შეფასების ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს;
2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები შესაძლოა იყოს:
  - ლაბორატორიის/კლინიკის ბენეფიციართა რაოდენობა;
  - ლაბორატორიის/კლინიკის მიერ ორგანიზებული პრაქტიკული, საგანმანათლებლო ღონისძიებები;
  - სხვა აქტივობები არსებული გამოწვევებიდან და ლაბორატორიის/კლინიკის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

**(იხ. დანართი N1, ანგარიშის შესაძლო ნიმუში)**

## **მუხლი 5 ლაბორატორიის/კლინიკის საქმიანობის ანგარიში**

1. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, ლაბორატორიის/კლინიკის ხელმძღვანელი ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს, საბჭოს მიერ ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული სამიზნე ნიშულების შესაბამისად;

2. ლაბორატორიის/კლინიკის ხელმძღვანელი ანგარიშის წარდგენისას ვალდებულია მიუთითოს იმ მიზეზებსა და გარემოებებსა რომელთა გამო ვერ შესრულდა ან/და შეფერხდა ცალკეული აქტივობის სრულყოფილად შესრულება;

3. ფაკულტეტის საბჭო ლაბორატორიის/კლინიკის საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შემდეგ ხმათა უმრავლესობით იღებს ერთ ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- მიიღებს ლაბორატორიის/კლინიკის ხელმძღვანელის ანგარიშს;
- ლაბორატორიის/კლინიკის ხელმძღვანელის ანგარიშის შედეგად გეგმავს გარკვეულ რეაგირებას, ასეთ შემთხვევაში დეკანი ვალდებულია საბჭოს მიერ დაგეგმილი რეაგირების შესაბამისად შეატყობინოს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს რეაგირების შინაარსი და მოსთხოვოს მათ რეაგირებისთვის საჭირო ჩართულობა.

4. ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ანგარიშის წარდგენისას ლაბორატორიის/კლინიკის ხელმძღვანელის ანგარიში ასევე მოიცავს ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესახებ.

## **მუხლი 6 დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე წესი დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;

2. წესში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;

